

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №

2022 წლის \_\_\_\_\_ დეკემბერი, ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 203-205 პუნქტები:

| №   | მისამართი   | ობიექტის დასახელება                    | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები |                       |
|-----|---|--|-----------------|---------------------|-----------------------|
|     |   |  |                 | მიწის ფართი (კვ.მ.) | შენობის ფართი (კვ.მ.) |
| 203 | ქ.ბათუმი, ტაბიძის №3 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.25.11.392    | 88                  | —                     |
| 204 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13ა                      | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.25.05.202    | 86                  | —                     |
| 205 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№20ა-ს მიმდებარედ         | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.25.06.074    | 189                 | —                     |

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 203-205 პუნქტები:

| №   | მისამართი   | ობიექტის დასახელება                    | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები |                     | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი) | ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|-----|---|--|-----------------|---------------------|---------------------|---------------------------------------|---------------------------------------|--|
|     |   |  |                 | მიწის ფართობი (კვმ) | შენობის ფართი (კვმ) |                                       |                                       |  |
| 203 | ქ.ბათუმი, ტაბიძის №3 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.25.11.392    | 88                  | —                   | 58 330                                | უპირობო                               | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში                                    |
| 204 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13ა                      | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.25.05.202    | 86                  | —                   | 54 200                                | უპირობო                               | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში                                    |
| 205 | ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№20ა-ს მიმდებარედ         | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.25.06.074    | 189                 | —                   | 125 100                               | უპირობო                               | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში                                    |

გ) განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხას (დანართი 3) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

| №  | მოძრავი ობიექტის დასახელება                                      | მაიდენტიფიცირებელი/მახასიათებელი ნიშანი                             | ექსპლუატაციის ვადა   | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|----|--|---|----------------------|---------------|-----------|
| 14 | სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა- UAZ, მოდელი 31512-01) | სარეგისტრაციო ნომერი: PR587PP, საიდენტიფიკაციო ნომერი: 0176551-8628 | გამოშვების წელი 1988 | ცალი          | 1         |

დ) განკარგულებით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 4) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

| №  | მოძრავი ობიექტის დასახელება                                      | მაიდენტიფიცირებელი/მახასიათებელი ნიშანი                             | ექსპლუატაციის ვადა   | ზომის ერთეული | რაოდენობა | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა (უპირობო / პირობებიანი) | ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|----|--|---|----------------------|---------------|-----------|---------------------------------------|---|--|
| 14 | სატრანსპორტო საშუალება ავტომანქანა (მარკა- UAZ, მოდელი 31512-01) | სარეგისტრაციო ნომერი: PR587PP, საიდენტიფიკაციო ნომერი: 0176551-8628 | გამოშვების წელი 1988 | ცალი          | 1         | 1500                                  | უპირობო                                 | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში                                    |

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

**გ ა მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**  
**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე